



ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი

№3(107)

მარტი
2023 წელი

გამოდის თვეში ერთხელ

1991 წლის 31 მარტი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღზრუნოს ცეკვის დღე



32 წლის წინ, 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზევიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, ჩაატარა რეფერენდუმი – საერთო-სახალხო კენჭისიყრა სახელმწიფო ორგანიზობრივი დამოუკიდებლობის საკითხზე.

რეფერენცულუმი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკა-ის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილების საფუძველზე. ამ დადგენილებით გაუქმდა საქართველოს რესპუბლიკა-ის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 17 მარტს დანიშნული რეფერენცული სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე და 1991 წლის 31 მარტს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკა-ის რეფერენცულუმი საქართველოს სახელმწიფო ბრძოლის დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე კითხვით „თანახმა ხართ თუ არა ალსდგეს საქართველოს სახელმწიფო ბრძოლის დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“

რეფერენცუმი ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით და მასში მონაწილეობა მიიღო სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამაც. რეფერენცუმში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა $3.302.572$ ადამიანს (ამომრჩეველთა 90,3 პროცენტი). მონაწილეთა $98,9$ პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. რეფერენცუმის შედეგად, იმავე ნოის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა
ირაკლი ლარიბაშვილმა პარლამენტში
იცოდეს გადასაცილებელი მუნიციპალიტეტის
შეკითხვებს უკასეს**

„სააკაშვილმა ჩააბარა რუსეთს ჩვენი ტერი-
ტორიების 20%, ვინემ მოჰკითხა პასუხი ამ ადამი-
ანებს? დღეს როგორ ბედავენ, რომ ჩვენ გვისცამენ
კითხვას: რა გეგმა აქვს მთავრობას ამ
ტერიტორიების დაპრეზების?“

2023 წლის 24 მარტს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაძევილმა პარლამენტში, ინტერპელაციის ფორმატში გამოსვლისას ქვეყანაში არსებული გამოწვევების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ „...მთავარი გამოწვევა ჩვენი ქვეყნის წინაშე დღეს, რა თქმა უნდა, არის ქვეყნის შიგნით სტაბილურობის შენარჩუნება, მშვიდობის შენარჩუნება და რომ არ დაუუშვათ რაიმე კონფრონტაცია და ომის გადმოტანა. ეს არის ჩვენი და ჩემი, როგორც პრემიერ-მინისტრის, მთავარი ამოკანა, მთავარი საზოგადო...“

დასასრული გე-11 გვერდზე

ՀԱՅԵՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



ՕԵՎ ԱԵՋԱ
ՈՉԵՐՈՅՑՐՈ,
ՌՈՑՇՐՈՎ
ՃԱՑՄՑԵ
ԱՈԵՑՈՐՈՎԵՔՏԵ...



წინააღმდე
ნითებისგან
შექმნილი
მუზეუმი
ცერტვანში

უცხას ქალგაზონის და მრავალშვილის დაღის კალთა საერთაშორისო დღე მიუღოცხას



ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გელა შერმადინმა და ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ ბალაშვილმა ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ყვავილებით დაასაჩუქრეს ახალგორის მუნიციპალიტეტის უხუცესი ქალბატონი

და მრავალშვილიანი დედები. ბატონმა გელა შერმადინმა ფრენების დევნილთა დასახლებაში 98 ნლის თამაზ ახლოური მოინახულა და ქალთა საერთაშორისო დღე მიუღოცხა.

ბატონმა თამაზ ბალაშვილმა ქალთა საერთაშორისო დღე მიუღოცხა და სასურსათო პაკეტები გადასცა დევნილთა სამივე დასახლებაში – წეროვანში, წილკნისა

და ფრენებში მცხოვრებ მრავალშვილიან დედებს.

„მინდა, ჩვენი მუნიციპალიტეტის უხუცეს წევრს, აგრეთვე, ყველა ქალბატონს მივულოცო ქალთა დღე. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობასა და ბედნიერ, გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრებას,“ – აღნიშნა გელა შერმადინმა.

საიცორმასიო შეხვედრა ევროიდებრაშის პროცესებზე



ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით საქართველოს რეგიონებში, სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან ტარდება შეხვედრები საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების დინამიკის, მიღწეული შედეგებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ, საქართველოს მიერ ევროკავშირში განვევრიანებასთან დაკავშირებით განაცხადის შეტანის მიზვნელობაზე, პროცედურებსა და არსებულ გამოცდილებაზე.

შეხვედრები ტარდება საინფორმაციო ცენტრის მიმდინარე აქტივობების გეგმისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „საზოგადოების

ინფორმირებულობისა და მედეგობის გაზრდა“ ფარგლებში. პროექტს საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

ასეთი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ახალგორის მუნიციპალიტეტშიც. შეხვედრას მოდერაცია გაუნია საინფორმაციო ცენტრის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ბიუროს ნარმობადგენელმა ყარამან ბერიძემ.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ხატიაშვილმა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობაზე, წევრობის განაცხადზე, შევსებულ კითხვაზე, ევროკომისიის რეკომენდაციებსა და ევროპულ პერსპექტივაზე გაამახვილა ყურადღება. საუბარი, ასევე, შეეხო ასოცირებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელობას.

შეხვედრას ესწრებოდა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გელა შერმადინი, გამგების აპარატისა და სამსახურების ხელმძღვანელები და თანამშრომლები.



ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
ერდაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

1991 წლის 31 მარტი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ჩეზერხედუმი

პირველი გვერდიდან

იმავე დღეს აშშ-ის სენატმა საგანგებო რეზოლუციით ლეგიტიმურად ცნო 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები, რაც წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობას.

1991 წლის 5 აპრილს გამოქვეყნდა 31 მარტს გამართული რეფერენდუმის შემაჯამებელი შედეგები, რომლის მიხედვით: ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 3 657 477; რეფერენდუმის მონაწილეთა რიცხვი — 3 302 572, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 90.3%; კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვი — 3 326 100, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 89.3%-ს; სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტის “დიას” მომხრეთა რიცხვი — 3 295 493, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 98.9%-ს;

სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის, “არა” მომხრეთა რიცხვი — 17 400, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 0. 53%-ს. ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა — 13 690, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 0.41%-ს.

აჟარის აპტონომიურ რესაუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 224 788; რეფერენდუმსა და კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 96.64%-მა. სარეფერენდუმოდ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში — 97.67%-მა. უარყოფითად — 1.42%-მა.

აფხაზეთის აპტონომიურ რესაუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 347 175. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 61.27%-მა, კენჭისყრაში — 61.23%-მა. სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილეთა 97.73%-მა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 59.84%-ს. უარყოფითად გადაწყვეტას — 1.42%-მა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0.87%-ს.

გუდაუთის რაიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. იქ მხოლოდ ერთი საარჩევნო უბანი გაიხსნა ახალსოფელში. ტყვარჩელში ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი მაშინ გამოთქვა სურვილი რეფერენდუმის ჩატარებაზე, როდესაც საარჩევნო უბნებისა და კომისიების შექმნის ყველა ვადა ამონურული იყო.

ქალაქ ცხინვალში, ყორნისისა და ჯავის რაიონებში რეფერენდუმი არ ჩატარებულა. ცხინვალის რაიონში რეფერენდუმი ჩატარდა შვიდ სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 11 376 იყო. გაიცა 10 182 ბიულეტენი, რომელთაგან ორი ბათილად იქნა ცნობილი. სარეფერენდუმო კითხვას დადებითი პასუხი გასცა 10 180 ამომრჩეველმა.



“რეზერვედუმის შესახებ” საქართველოს რესაუბლიკის კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, სარეზერვედუმოდ გამოტანილი საკითხი მიღებულია ჩაითვალა. ას იყო

უკანასკნელი რეზერვედუმი, რომელიც ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტო-

რიაზე — აფხაზეთისა და სამახაბლოს ჩათვლით. ნებისმიერი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი საქართველოსთან მიმართებული იქნება ბათილი და აბრეშის გამომხატველი. თუ იგი არ ბაითვალისწინებს 31 მარტის რეზერვედუმით ჩამოყალიბებულ სამართლებრივ რეზიდენციას

1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმიწოდებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“, ხოლო 29 სექტემბერს აფხაზეთში ჩატარდა აფხაზეთის ასსრ-ის არჩევნები. კენჭისყრის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობა დაკომპლექტა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებზე აქტიურად მონაწილეობდნენ ისეთი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ კომუნისტური პარტიისა და აფხაზეთის სახალხო ფრონტის ლიდერები — ვლადისლავ არძინბა, სერგეი ბალაფში, სერგეი შამბა და სხვები, რომლებმაც პირველივე ტურში მოიპოვეს გამარჯვება. აღნიშნული პოლიტიკური ძალების (შემდგომში — სეპარატიული ლიდერების) მიერ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ერთეულის, კერძოდ კი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობით მოხდა მათ მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების პირდაპირი აღიარება, რაც კიდევ ერთი დასტურია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეიურობისა.

ისე უნდა ისცოვომ, ჩოგორც ბავშვს აინტერესებს...



**არიან ადა-
მიანგები, მთელ
თავის შეგნებულ
ცხოვრებას
საყვარელ საქმეს
რომ მიუძღვის
და ამით ხარობს,
სიცოცხლის ხალ-
ისი და მოტივაცია
ემატება...**

**ქალი ყოველთ-
ვის მალავს ასაკს,
– ეს შეუცვლელი
თვისება და ხასი-
ათში მტკიცედ გამ-
ჯდარი განწყობაა,
მაგრამ იშვიათად,
ალბათ, პირიქითაც
ხდება. დღეს ჩემმა
რესპონდენტმა**

**ქალბატონმა ლეილა ოვაშვილმა (არ მიკითხავს, ისე), –
რამდენიმე თვეში 80-ის გავხდებით, მითხრა, – ოხვრითა
და დანანებით კი არა, მისული ლალი, იუმორნარევი
ხმით... ის ნახევარ საუკუნეზე მეტია ახალგორის მკვიდ-
რია, ჩვენი საუბარიც აქედან დაიწყო...**

– თბილისელი ვარ, თბილისში დაგიბადე, ბავშვო-
ბა და სტუდენტობაც თბილისში გავატარე... პროფე-
სიით ინჟინერი ვარ. საქართველოს პოლიტექნიკური
ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის
დამთავრების შემდეგ მსუბუქი მრეწველობის სამინის-
ტროში გამანანილეს სამუშაოდ...

– რა გვალებოდათ ახალგაზრდა სპეციალისტს?

– საქართველოს მასშტაბით ვამოწმებდით წარ-
მოებებს, ვეხმარებოდით ახალი ტექნოლოგიების და-
ერგვაში...

– ასე მოხვდით ახალგორშიც...

– კი... 1-თვაიანი მივლინებით ჩამოვედი ახალგორში.
მაშინ დაბაში ფუნქციონირებდა სამკერვალო ფარიკა,
სადაც მზადებოდა პროდუქცია და მოთხოვნილებაც
დიდი იყო, ათეულობით ქალიც იყო დასაქმებული. მე
ახალგაზრდა სპეციალისტებს ვასწავლიდი, ვეხმარებო-
დი მაღალი ხარისხის პროდუქციის დამზადებაში, ნამუ-
შევარსაც ვამოწმებდი.

შემდეგ რაიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვი-
ტა თანამედროვე ტანის სანარმოს მშენებლობა ერი-
სთავების სასახლესთან ახლოს. მაშინაც გამომაგზა-
ვნეს მივლინებით, რომ მშენებლებს სწორი და ზუსტი
გადაწყვეტილება მიეღოთ, თუ სად უნდა დამონტა-
ჟებულიყო კონტეინერები და სხვადასხვა სპეციალიკუ-
რი დანადგარები... როცა ფაბრიკა გაიხსნა, 1 წლით
გამომაგზავნა სამინისტრომ სამუშაოდ... მაშინ დალიან
ახალგაზრდა ვიყავი და ხალისით, შემართებით ჩავე-
ბი ახალი სანარმოს მუშაობაში პროფესიული თვალ-
საზრისით. მიხაროდა, ჩემი წვლილი რომ შემქონდა
ახალი ფაბრიკის საქმიანობაში... ერთი წელი ნახევარ
საუკუნედ იქცა და დღეს ისევ ახალგორში ვიქენებოდი,
2008 წლის ომი რომ არ ყოფილიყო, თუმცა, იმედი მა-
ქვს დიდი, რომ ისევ შევალთ, ისევ დაგბრუნდებით.

– საზოგადოების დიდ ნაწილს, განსაკუთრებით ახ-
ალგაზრდობას შეიძლება არც ახსოვს ეგ დრო და თქვენი
დიდი ლვანწლი... ლეილა ოვაშვილს დღეს და თითქმის 40
წელია, საზოგადოება, ახალგორელები მასწავლებლად
აღიქვამენ...

– ასეა, პროფესია შევიცვალე, რადგანაც ფაბრიკა
გაუქმდა, გაიძარცვა და მეც პირველ, მეორე და ყან-
ჩავეთის სკოლაში მიმინვიეს ხაზვის, ხატვის და შრომის
მასწავლებლად. მაშინ ისწავლებოდა ასეთი საგანი

– შრომა... შემდეგ წლებში შრომის ნაცვლად ისწავ-
ლებოდა კულინარია და ხელსაქმე. ხელსაქმე, გარდა
პირდაპირი მნიშვნელობისა, მოიცავდა აგრეთვე დე-
კორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას. მოსწავლეები
ინტერესით ამზადებდნენ მეორადი პროდუქციისაგან
ახალ დეკორაციას.

განათლების სისტემაში სისტემატურად ტარდება
რეფორმა და ერთ-ერთი რეფორმის შემდეგ სკოლაში
აღარც ხატვა, აღარც შრომა, აღარც ხელსაქმე ისწავ-
ლებოდა. დაგვემატა ახალი საგნი „რელიგია“.

– ჩვენი თაობა ათეისტურ ეპოქაში გაიზარდა...

– გასაგებია, რის თქმაც გინდათ... მე მონათლულიც
არ ვიყავი ბავშვობაში... მოვინათლე ლარგვისის წმინ-
და თევდორეს ეკლესიაში. ყოველთვის ვამაყობ, რომ
ნათლობის საზეიმო ცერემონია ჩაატარა ყველასათვის
საყვარელმა და პატივცემულმა მეუფე ისაიამ.

შეიძლის, ჩემი ზურას გარდაცვალების შემდეგ
სწორედ მეუფე ისაია დამეხმარა, რომ ცხოვრება გამე-
გრძელებინა ჩემი ორად გაპობილი გულით. ერთ ნაწ-
ილში გლოვა და ცრემლი ილექტობოდა, მეორეში სიხ-
არული – ჩემს უფროს შეილს კახას რაც ეუთვნოდა....

მიერბრუნდეთ რელიგიის გაკვეთილებს, ანუ მე ამ
დროისათვის მართლმადიდებელი ქრისტიანი ვიყავი,
ბევრს ვკითხულობდი, დავდიოდი ეკლესიაში, ვესწრე-
ბოდი ნირვა-ლოცვებს, სხვადასხვა რიტუალს. სანამ ამ
საგნის სწავლებას დავიწყებდი, ნარმატებით გავიარე
სამთვიანი კურსები. ამ დროს ახალგორის მეორე რუსუ-
ლი საშუალო სკოლა გადაკეთდა ქართულ სკოლად და
რელიგიის სწავლებასთან ერთად დამნიშნეს დირექტო-
რის მოადგილედ სასწავლო დარგში. ხელოვნების და
რელიგიის გაკვეთილებს ვატარებდი მეუფე ისაიას თხ-
ოვნით ეკლესიაში.

სკოლაში მოვაწყე რელიგიის კაბინეტი, რომელიც
ასევე მეუფე ისაიამ აკურთხა. ბავშვები დასვენებაზე
შედიოდნენ, ლოცვულობდნენ, ხატების ისტორიას სწავ-
ლობდნენ, სანთელს ანთებდნენ.

დასაწყისში ჩვენი ბავშვობის ათეისტური ეპოქა ახ-
სენეთ. კომუნისტური პარტიის წევრი არასოდეს ვყო-
ფილვარ, კომეტამირელი კი ვიყავი და თანაც, ძალიან
აქტიური (ილიმის)...

– 2008 წელი...

– ვერ მივატოვე ახალგორი, სკოლა... 1 წელი
თბილისიდან დავდიოდი ყოველდღე... კიდევ ვერ ვი-
ჯერებდი საზარელ ოკუპაციას... 2009 წელს, როდე-
საც იქაურმა ხელისუფლებამ ისური პასპორტების გა-
კეთება მოგვთხოვა, წამოვედი... ამავე წელს წეროვნის
დევნილთა დასახლებაში სკოლა გაიხსნა...

– ყველაფერში, რაც ახალდაფენებული და ახალგა-
სნილია, ბევრი პრობლემა იჩენს ხოლმე თავს...

დასასრული მე-ნ გვერდზე

რცხვები ხდება!

„სსიპ მცხეთის მუნიცი-
პალიტეტის სოფელ წეროვნის
N3 საჯარო სკოლის მე-11(1)
კლასის მოსწავლე თამარ
(თათა) ბუთხუზი Flex-ის პრო-
გრამის გამარჯვებულია! ის
მომავალი აკადემიური წლის
განმავლობაში ამერიკის
შეერთებულ შტატებში სრუ-
ლი დაფინანსებით ისწავლის...
ოცნებები ხდება!!!“ – წერს სო-
ციალურ ქსელში ამავე სკოლია
დირექტორი ირმა ტატიშვილი.

2022 წელს თათამ რონდელის ფონდის პროექტში
„თემის ახალგაზრდობის ჩართულობა საქართველოს



რეგიონებში“ მიიღო მონაწილეობა და პროექტის ფარ-
გლებში გამართულ ვიქტორინაში გაიმარჯვა. პრო-
ექტი საქართველოში აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით
იმართება.

Flex მომავალი ლიდერების გაცვლის პროგრამაა,
რომელიც უზრუნველყოფს სტიპენდიის დაფინანსებას
საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის.

ტყის მღვრალი და ქლიმატგრივრები მართვის პრინციპების დანერგვა



გასულ წელს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურ-
ნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციი-
სა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, სკოლების
ეკოკლუბების ქსელის პრეზენტაცია გაიმართა.

აღნიშნული ქსელის შექმნის მიზანია ახალგაზრ-
დების გარემოსდაცვითი თემებით დაინტერესება და
მათი ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა.

ასეთი ეკოკლუბი შეიქმნა წეროვნის №3 საჯა-
რო სკოლაშიც, რომელსაც ამავე სკოლის პედაგოგი
ნონა დემუროვი ხელმძღვანელობს. სკოლაში 7 მარტს

მაღლობა ჰესაპლებლობისთვის!

ანა მწითაური მცხე-
თა-მთიანეთის რეგიონუ-
ლი ჰაბის ახალგაზრდების
სტაუირების პროგრამის
მონაწილეა. ეს პროგრამა
ხორციელდება პროექტის
„სამოქალაქო საზოგადოე-
ბის ინიციატივა“ ფარ-
გლებში, ევროკავშირისა
და კორნად ადენაუერის
ფონდის მხარდაჭერით. ანა
სამი თვის განმავლობაში
აქტიურად იყო ჩართული
ორგანიზაციის მიმდინარე
პროექტებში და ფიქრობს,
რომ მიღებული ცოდნა და
გამოცდილება სამომავლო
მიზნების მიღწევაში აუცილებლად დაეხმარება.



ანი მწითაური: „ორგანიზაციაში განხორციელებული
სხვადასხვა აქტივობები მაღლევდა საშუალებას აქტი-
ურად ვყოფილიყავი ჩართული რეგიონის განვითარე-
ბაში. ჩემთვის აქ გატარებული სამუშაო დრო იყო შეს-
აძლებლობა სიახლეების აღმოჩენის, ახალი უნარებისა
და გამოცდილების მიღების, რომელიც სამომავლოდ,
საკუთარი მიზნების მიღწევაში დამეხმარება.“

აღსანიშნავია, რომ სტაუირების პერიოდი გაძლევს
საშუალებას მაქსიმალურად გამოიყენო დრო საკუ-
თარი თავის განვითარებისთვის, ახალი ადამიანების
გაცნობისა და უკვე არსებული ცოდნის პრაქტიკულ
ნაწილში გამოყენებისათვის...

მქონდა შესაძლებლობა მიმელო მონაწილეობა რე-
გიონისთვის მნიშვნელოვან პროექტებში, უკეთ გამეც-
ნო საჭიროებები, წვლილი შემეტანა განვითარებაში
და ამემაღლებინა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

მაღლობა საინტერესო და მრავალფეროვანი გა-
მოცდილების მიღების შესაძლებლობისთვის.“



გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა – „ტყის მდგრა-
დი და კლიმატგონივრული მართვის პრინციპების
დანერგვა“, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და
განათლების ცენტრის – გარემოს საინფორმაციო
სამსახურის მთავარი სპეციალისტის ანა მანჯავიძის
ხელმძღვანელობით. შეხვედრას ესწრებოდნენ დან-
ყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის მოსწავ-
ლეები, რომლებმაც ისაუბრეს კლუბის საქმიანობის
შესახებ და სამოქმედო გეგმა ნარმოადგინეს პრეზ-
ენტაციის სახით. საინფორმაციო შეხვედრის ბოლოს,
მოსწავლეებს გადაეცათ საჩუქრები.

ისე უძლა ისე მოვარდო, როგორც ბავშვები აინტერესებს...

მე-4 გვერდიდან

— მაგრამ მასწავლებელი რის მასწავლებელია, თუ თავისი ტაქტით, გულისხმიერებით ვერ მოძებნის ბავშვს გულის გასაღებს...

ომგამოვლებისთვის კიდევ უფრო მძიმეა ერთ გუნდად შეკვრა, თანაც ამ სკოლაში მარტო ახალგორელები არ ვიყავით, ჩვენ გვერდით იყვნენ და დღესაც არიან ლიახვის ხეობიდან დევნილები, ისინი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ომის დროს... მასწავლებლები და ბავშვებიც ომის შემდეგ გაიფანტნენ სხვადასხვა ქალაქებში, ნელ-ნელა მოვგროვდით... ვცდილობდით, ერთმანეთისადმი მეტი სითბო და გულისხმიერება გამოგვეჩინა... მეამაყება, რომ დღეს სკოლას შეკრული, სალად მოაზროვნე, პროფესიონალიზმითა და მომავალი თაობის სიყვარულით საესე პედაგოგები ჰყავს. თავიდან 800 ბავშვი იყო, მერე თანდათან ეს ციფრი თითქმის გაორმაგდა. ომმა და საკუთარი სახლებიდან წამოსვლამ ბავშვებს, რა თქმა უნდა, თავისებური დაღი დასვა, მაგრამ შემდგომ წლებში ჩვენი და მშობლების ძალისხმევით გაუფერმერთალდათ ეს ტკივილი, წარმატებები მოიპოვეს, სხვადასხვა გამოწვევებში მონაწილეობენ, აქაურობასაც შეეჩივენ და ცხოვრება გაგრძელდა...

რაც მთავარია, სხვადასხვა სკოლებიდან მოსულმა მასწავლებლებმა სრულიად ავირიდეთ შური, მტრობა... საერთო ტკივილმა დაგვაკავშირა, გაგვაერთიანა, ბავშვებიც ისე დამეგობრდნენ, თითქოს ერთად იყვნენ გაზრდილები... ეს დამოკიდებულება წარმატების საწინდარიც არის... ჩვენი სკოლა ყოველთვის მონინავობს, რამიც დირექციის და დირექტორის ირმა ტატიშვილის დამსახურებაც არის.

ჩემი სკოლაში გატარებული წლები, ვფიქრობ, ნაყოფიერია, რადგანაც თითქმის მთელი ცხოვრება მიუვადვენი. სკოლა ჩემი ოჯახივით არის... დილით სკოლას რომ მივუახლოვდები, მიხარია, ნაბიჯს ავაჩქარებ ხოლმე. ბედნიერებაა შენს საყვარელ საქმეს რომ აკეთებ, ეს საქმეს სხვას რომ ახალისებს, მოტივაციას აძლევს. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აღმატებულს – ბავშვებს რომ ახალისებს შენი შრომა, მისი სულისა და გონიერის განვითარებას რომ უწყობს ხელს, ბედნიერებაა.

ცხოვრებამ დიდი, უფრო დიდი რომ აღარ არსებობს, ისეთი ტკივილი განმაცდევინა... და თუ ცხოვრება მაინც გავაგრძელე, რომ შევძელი ფეხზე დავმდგარიყვი, გამელიმა, სხვაზე მეზრუნა, ეს სკოლამ, ბავშვება შემაძლებინეს. მასწავლებელი ბავშვით ცხოვრობს,



ლეილა ოვაშვილი კოლეგებთან ერთად

ძალაუნებურად მეტ სტიმულს გაძლევს. ისე უნდა იცხოვრო, როგორც ბავშვები აინტერესებს. მე ამ ასაკშიც კიდევ ბევრ სიახლეს ვსწავლობ, ძალდატანებით და სამსახურის გამო კი არა, — მაინტერესებს... ბავშვი მუდამ განვითარების პროცესშია. ჩემი აზრით, ასევე უნდა ვიყოთ მასწავლებლებიც, მიუხდავად იმისა, რა საგანს ვასწავლით. ჩვენ ხომ მარტო საგნის სწავლება არ გვევალება, ყველაფრისადმი დამოკიდებულებას პატარა ჩვენგან სწავლობს, — მანერებს, საუბრის კილოს, საზოგადოებაში მოქცევის წესებს და ასე შემდეგ...

— სამი წლის წინ განათლების სისტემაში სიახლის დანერგვა ითვალისწინებდა პენსიონერი მასწავლებლისათვის მთელი წლის ხელფასის გადახდას და სახლში გაცილებას...

— ნურას უკაცრავად... მე ეს სიახლე და შემოთავაზება არ მიმიღია. თანხას გადაგიხდი და სახლში მიბრძანდი, — ეს ჩემთვის მიუღებელი იყო. ამიტომაც წავედი, შესაბამისი გამოცდები ჩივაბარე და განვაგრძე მუშაობა. ვფიქრობ, რომ წლები მართლაც მხოლოდ ციფრებია...

— ქალბატონო ლეილა, ლეიქსებსაც წერდით...

— კი, ვწერდი, ეს იყო უდიდესი ტკივილის და სევდის გამოძახილი... საკუთარ თავთან როცა ვრჩებოდი და ყოველდღე მარტო მივყვებოდი გზას ჩემი მარად 17 წლის ზურასკენ, რასაც ვფიქრობდი, რასაც ვესაუბრებოდი ქვაში გამოკვეთილ მის სახეს, თავისთავად რითმებად იქცეოდნენ ხოლმე...

არავინ თქვას, დრო მკურნალიაო. არავითარ შემთხვევაში! დრო, უბრალოდ, ტკივილთან ცხოვრებას გაჩვევს... თანაც, გულის მეორე ნაწილში ოთხი არაჩვეულებრივი შვილიშვილი მყავს — ეკატერინე, ქეთევანი, ნიკოლოზი და კესარია... ჩემს კახას და ანას ბედნიერი ოჯახი აქვთ, ეს ჩემთვის სიხარულის ზღვაა...

მინისტრის გადაწყვეტილი გადაწყვეტილი განცხადების განცხადება

13 მარტს საქართველოს მთავრობის სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის ნებრებმა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანონპროექტზე იმსჯელეს, რომლის თანახმადაც მარცვლოვანი ნაწვერალის გადაწყვისთვის მკაცრი ჯარიმა წესდება გავრცელებული მავნე პრაქტიკის – მოსავლის ალების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ცეცხლის წაკიდების აღმოფხვრისა და შემაკავებელი ეფექტის შექმისთვის. დღეს კანონმდებლობაში არ არსებობს ამ სახის პირდაპირ გათვალისწინებული სამართალდარღვევა და შესაბამისი სანქცია.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს დაცვის კუთხით არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა ჰქონდა ბოლო პერიოდის განმავლობაში. ვაგრძელებთ ამ პროცესს, როგორც აგმოსფერული ჰაერის ხარისხის კუთხით, ასევე სამრეწველო სანარმოებისა და ავტომანქანებიდან გამონაბოლქვის კონტროლის მიმართულებით. ეს საკითხი, რომელზეც მთავრობამ იმსჯელა ერთ-ერთი ის გამოწვევაა, რომელსაც ჩვენ ყოველ შემოდგომაზე ვაკვირდებით, ძირითადად კახეთის რეგიონში. სამწუხარო პრაქტიკაა, როცა ფერმერების მხრიდან ხდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადაწყვა, რაც დიდ ზიანს აყენებს ნიადაგსა და ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე შეიძლება დავდგეთ ამ ცეცხლის გავრცელების კუთხით. აქამდე არ გვქონდა ქმედითი მექანიზმი ამის საწინააღმდეგოდ და დღეს, მთავრობამ მოიწონა ად-



მინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების პროექტი, რომელიც წარედგინება პარლამენტს, – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ.

როგორც არსებულმა პრაქტიკამ აჩვენა, ბოლო დროს გახშირებულია შემთხვევები, როდესაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მფლობელები, მოსავლის ალების შემდგომ ახდენენ მინისტრის ნაკვეთზე დარჩენილი ნაწვერალისთვის ცეცხლის წაკიდებას დაწვის მიზნით, რაც დიდ ზიანს აყენებს როგორც ნიადაგს ასევე გარემოს და ამავდროულად აღნიშნული ქმედება დიდ ზიანს აყენებს ნიადაგსა და გარემოს. ამასთანავე დიდია მიმდებარე ნაკვეთებზე, მინდვრებზე, ტყეებზე ან დასახლებულ პუნქტებზე ხანძრის გავრცელების აღბათობა. კანონპროექტის თანახმად, მინისტრი ნაკვეთზე არსებული მარცვლოვანი მცენარეებისთვის (მათ შორის მათი ნაწვერალისთვის) ცეცხლის წაკიდებისთვის წესდება აღმინისტრაციული ჯარიმა: ფიზიკური პირებისთვის თითოეულ ჰექტარზე 1 000 ლარის, იურიდიული პირებისთვის კი - 2 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული სანქციები გამოიწვევს მინისტრის მესაკუთრის, მფლობელი ფიზიკური პირის, ან იურიდიული პირის დაჯარიმებას.

ქალგრის მუნიციპალიტეტის სერვის-ცენტრის განცხადება

წეროვნის დევნილთა დასახლებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება დასუფთავება და არასაყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა.

ჩვენ ვცდილობთ, გავითვალისწინოთ მოსახლეობის თხოვები და საჭიროები, და გთავაზობთ შემდეგ გამოსავალს:

1. სამეურნეო ნარჩენების პრობლემა

სამეურნეო ნარჩენების გატანა/გადამუშავება არ ხდება დასუფთავების სამსახურის მიერ, ამიტომ მათი ნაგვის ურნებათან დატოვება ინვევს გზების სავალი ნაწილის დაფარვას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პროდუქტულად, საკუთარი რესურსებით, ვახდენთ გატანას, ყოველდღიურად ისევ ვაწყვეტით ტოტებს და მსგავსი ტიპის ნარჩენებს ქუჩებში.

ჩვენ ასევე გაგიზიარეთ ინფორმაცია, რამდენად მავნეა მათი დაწვა, რადგან ეს ვნებს როგორც თქვენს, ასევე სხვა ადამიანების ჯანმრთელობას.

გამოსავალის სახით გთავაზობთ:

ა) სამეურნეო ნარჩენებისთვის გამოყოთ ადგილი საკუთარ ეზოში, მათი კომპოსტირების შედეგად მიღებთ ბუნებრივ სასუქს.

ბ) თუ გადაწყვეტით ასეთი ნარჩენები დატოვოთ ნაგვის ურნებათან, პირველ რიგში, გთხოვთ ტოტები

შეკრათ მჭიდროდ და მხოლოდ შაბათს ან კვირას დატოვოთ ურნასთან, ამ ჰერიოდში ჩვენი სამსახური მობილიზებული იქნება რომ დროულად მოხდეს გატანა ტექნიკის გამოყენებით.

2. ნაგვის ურნების პრობლემა

სოციალურ ქსელში ვეცდებით და გვიზიარებთ სურათებს დაზიანებული, ან გზიდან გადავარდნილი ნაგვის ურნების. იქიდან გამომდინარე, რომ წეროვანში კომპაქტურად არის ჩასახლებული 9000-მდე ადამიანი, გარემოში სისუფთავის შესარჩუნება ძალიან როულია. სერვის-ცენტრის თანამშრომლები ასუფთავებენ და ანესრიგებენ ქუჩებს.

ა) ყურადღების მიღმა არ გვრჩება და ამ დროისთვის, აღრიცხული გვაქს ყველა დაზიანებული და მოველებული ნაგვის ურნა, მათი შეკეთება/ჩანაცვლება იგეგმება მაისის თვეშიც.

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ნაგვის ურნების განახლება პერიოდულად ხდება, ძალიან ხშირია მათი დაზიანების შემთხვევები. დღესაც მოხდა ასეთი ფაქტი, მეოთხე რიგში, ახალ ნაგვის ურნაში გააჩინეს ცეცხლი. გვესმის, რომ პირველ რიგში, სწორედ ჩვენი ვალდებულებაა ვიზრუნოთ დასახლებაში სისუფთავის დაცვაზე, მაგრამ თქვენი ჩართულობის და დახმარების გარეშე ეს შეუძლებელი იქნება. გთხოვთ, არ დაყაროთ ნაგვი ქუჩაში და ნუ დააზინებთ ნაგვის ურნებს!

იმედი გვაქს, რომ გაზიარებული პასუხისმგებლისთვის გადავჭრით ამ პრობლემას!

ნიცაართა ნივთებისგან შექმნილი მუზეუმი წეროვანები

უურნალ „გზის“ მარტის ნომერში გამოქვეყნდა უურნალისტ ანა კალანდაძის ნერილი ახალგორელ ხეზე კვეთის ოსტატზე ზაზა გათენაშვილზე, სადაც საინტერესოდა წარმოდგენილი მკვიდრი ახალგორელის, ნიჭიერი ხელოვანის ცხოვრების გზა.

ახალგორში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მშობლიური კუთხის დატოვება მოუხდა და მისი ცხოვრების ახალი ეტაპი წეროვანში დაიწყო. დღეს იქ სახელოსნო აქვს, სადაც ხეზე კვეთის ოსტატი ზაზა გათენაშვილი ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობს და ამავდროულად სელოსნობაში დაგროვილ ცოდნას ახალგაზრდებს უზიარებს.



არაერთი დევნილი ოჯახის შეიძლი ყოფილა მისი მოსწავლე, ბევრ მათგანს ეს საქმიანობა გაუგრძელებია და ხეზე კვეთა მათი შემოსავლის წყაროდ ქცეულა. თავად ზაზა გათენაშვილმა ხელობა მამის, გოგი გათენაშვილისგან აითვისა, მერე კი თანამედროვეობის ცნობილი ოსტატის, თამაზ ჩერტყოშვილის შეგირდი გახდა. სამხატვრო აკადემიაში სწავლა ინტერიერის დიზაინის ფაკულტეტზე დაიწყო და ავეჯის დიზაინის მიმართულებით გააგრძელა. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომის მიხედვით ავეჯის დიზაინერია, მისი საქმიანობა მხოლოდ ამ ნივთების შექმნით არ შემოიფარგლება. პედაგოგიური საქმიანობა თბილისში დაიწყო, სადაც 9 წლის განმავლობაში ერთ-ერთ სკოლაში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს ასწავლიდა და მათი ხელით შექმნილი ნამუშევრებით გამოფენებს აწყობდა. მოზარდებთან მუშაობას მაშინ შეეჩინა და მას შემდეგ სულ ჰყავს შეგირდები. გარდა ამისა, წეროვანში ახალგორიდან ნამოლებული ნივთებით მუზეუმი მოაწყო. უამრავი მნიშვნელოვანი ექსპონატი აქვს, რომელსაც წლების განმავლობაში მამამისი აგროვებდა და უფრთხილდებოდა, ახლა კი მათზე თავად ზრუნავს. მისი მშობლები დღემდე ახალგორში ცხოვრობენ. 4 წლია, იქაურობა არ უნახავს. თვეში 10 დღეა გამოყოფილი იქ შესასვლელ-გამოსასვლელად და ყველა საჭირო საჭუთს რომ მოაწერიგებს, იმედი აქვს, სამეც მისცემენ და ახალგორში ჩასვლას შეძლებს.

— ხეზე კვეთა მამაჩემის გვერდით ვისწავლე. მას ახალგორში პატარა სახელოსნო ჰქონდა. 76 წლის კაცია და დღემდე ტყეში დადის, ფესვებისგან თუ წყალს გამორიყული ხის ნაჭრებისგან საოცარ ნივთებს ქმნის. ბავშვობაში პატარ-პატარა რაღაცებს მეც ვაკეთებდი, მაგრამ ჩემს პირველ დამოუკიდებელ ნამუშევრად შეიძლება ორნამენტებიანი მაგიდა დავასახელო, რომელიც 17 წლისამ გავაკეთე. ბევრი მიმართულებით



მაქვს ნამუშევარი. შექმნილია როგორც მცირე ზომის, ისე დიდი ნივთები, მათ შორისაა: კიბეები, კარები, რესტორნის დეკორაციები, სუვენირები, ასზე მეტი სხვადასხვა საეკლესიო ნივთი, საქართველოს მასშტაბით არაერთ ეკლესია-მონასტერშია...

მამაჩემი მთელი ცხოვრება ხალხურ რეწვასა და ეთნოგრაფიას ემსახურება. ახალგორში ძალიან დიდი მუზეუმი შექმნა. ნინაპრების ნივთებს მთელი საქართველოს მასშტაბით იკვლევდა და აგროვებდა. მისი პობი მეც გავაგრძელებ და იმ გიგანტი, თითოთ საჩვენებელი მუზეუმის ექსპონატების ნაწილი წეროვანში წავილე. სახელოსნოს გვერდით, 40 კვ.მ. მივაშენე და იქ განვათავსე.

ბევრი სხვადასხვაგვარი ნივთია, მათ შორის კერა-მიუული ნიმუშებიც. ერთი დიდი უნიკალური სკივრიც მაქვს, რომელშიც ჩვენი ნინაპრები პურს ინახავდნენ. ასევე, 2 საუკუნეზე მეტი ხნის ხისგან გამოთლილი დედაბოძი, რომელიც 90-იან წლებში ქსნის ხეობაში მამაჩემის მოსწავლეებმა, დანგრეულ სახლში იბოვეს. დედაბოძი მამამ ახალგორში შეინახა და მერე მეც ნამოვილე...



P.S. ზაზა
გათენაშვილმა
რამდენიმე თაობა
აღზარდა და
როგორც ალნიშნა, ცდლობს,
გაკვეთილები მათ
რეუნის მოარგოს.
ამჟამად
ათამდე შეგირდი
ჰყავს და ამბობს,
რომ ბავშვების
მომზადებას
მომავლებიც
დიდი სიამოვნებით
გააგრძელებს.

ზაზა გათენაშვილის ნამუშევარი:
ახალგორის ლვთისმშობლის შობის
სახელობის მონასტრის კარები



ერთი დღე ლოროში

დამის წყვდიადს რიურაჟი შეეპ-
არა...

— ადექით, გოგოებორო, —
ხმამალლა წაგვიმღერასავით ნინა
ძალომ; ყურათქალმა, ასე ეძახდ-
ნენ სოფელში...

„ლმერთო, რა ენერგია აქვს ამ
ქალს... გუშინ კარტოფილს თოხნი-
და, მერე საღამოს ცხვრის წველა,
ყველის ამოყვანა, ვახშამი, ჭურჭ-
ლის დასუფთავება... მართალია,
ამას ყველაფერს ერთად ვაკეთებთ,
მაგრამ მაიხს დამღლელია; მერე
ცოტა გართობა და ძილის დროც
დგება...“ ვწევარ და ეს ყველაფერი
კინოკადრივით გავატარე დახუ-
ჭულ თვალნინ...

— გოგოებორო, გათენდაა,
გაიღვიძეთ, თქვე გასახარებლე-
ბორო... — ისევ გვეხმატებილება
სიბნელეში ნინა ძალო და თან ას-
ანთს აჩხაკუნებს, რომ „ხელილ-
ამფა“ აანთოს.

ნელ-ნელა აშრიალდა საწოლები
და დაახლოებით 15 წუთში სამხ-
ედროებივით დამწკრივებულები,

ლამარა ბერიანიძე ქსნის ხეობიდან
არის. საქართველოს პოლიტექნიკური
ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ
„შავი ოქროს“ ქალაქში – ტყიბულ-
ში გაანაწილეს სამუშაოდ ინჟინ-
ერ-გეოლოგი... ის დღემდე ოჯახით იქ
ცხოვრობს, მაგრამ ფიქრით ბავშვო-
ბის საბუდარს დასტრიალებს... ეს
ლამაზი მოგონებაც, სადაც რეალური
ამბავია მოთხრობილი, ქსნის ხეობას
ეძლვნება.

ხელში ვედროებით, ხმამალალი
ყაყანით გავეშურეთ ბერისკენ.

ბერა – რა უცნაური სახელია, ან
ვინ მოიგონა ნეტა (ახლა ცნობილ
ახალგაზრდას ჰქვია... ეს ისე...)?

ბერა – წნელით შემოლობილი პა-
ტარა ადგილია, 150-200 სულ ცხ-
ვარს იტევს დაახლოებით. ერთ მხ-
არეს ლასტის კარები აქვს, შიგნით
რომ ცხვრები შევრეკოთ; მეორე
მხარეს მცირე ღიობია დატოვებუ-
ლი, თითო ცხვარი რომ გამოივ-
ლის, იმხელა... გამოსასვლელის
ორივე მხარეს სამ-სამი მოზრდი-
ლი ქვა დევს, ე.წ. მეჯერის სკამი
(მეჯერე ცხვრის მწველაეს ჰქვია),
სკამის წინ პატარა ორმოა ამოჭ-
რილი ვედროს ჩასადგმელად, ცხ-
ვარმა რომ არ ნააქციოს...

მოვსხლიტეთ ფარას ცხვრების
ნაწილი და შევრეკეთ ბერაში. მიმ-
რექმაც დაიკავა თავისი ადგილი;
ჩვენც ჩავმწკრივდით ორივე მხ-
არეს. მე და ყიდა ძირის თავში
დავსხედით, მუხლი მუხლს მივ-



აბჯინეთ და დავიწყეთ ცხვრების
სათითაოდ გამოშვება...

მიუხედავად იმისა, რომ ცხვარი
ძალიან ცოტას იწველება, მაინც
სწრაფად ივსება ქაფქაფა რძით
ვედროები. ძირი ყიდა პირველობას
არავის უთმობს, პირმდე აავსო
ვედრო; არც დანარჩენები ჩამორჩე-
ბიან: ნინა, ბაბულია, ნუუჯ, ვალო-
დია, ჯუმბერი... მე? ჰა, ჰა, ჰააა,
მე არასოდეს გამივსია ვედრო...

დრო გარბის, გათენდა... ოც-
დაათამდე ცხვარია დარჩენი-
ლი ბერაში; უცებ მოიღრუბლა,
თოვლივით წამოგვაყარა წვრილი
ხორხოშელა. ყიდამ ცას ახედა,
გამოცდილი მწყემსია (ხშირად უნ-
ახავს ამინდის უეცარი ცვლილება)
და...

— ადექით, გოგოებო, თორემ
საშინელი სეტყვა დაგვატყდება
თავზე.

ნინამ ბაკში გადაიხედა:

— რაღა დარჩა, ბარემ ესენიც გა-
მოვწველოთ...

— ვერ მოვასწრებთ, — არ თმობს
ყიდა ძირია.

— ოოო, გამოუშვი დროზე,
თითო ხელის მოჭერა უნდა, მეტი
ხომ არა?

— მე გითხარით და, კი ბატონო,
— დაყარა ფარ-ხმალი ყიდამ.

უხმოდ გავაგრძელეთ წველა.

უცებ წამოუშინა ჩიტის კვერ-
ცხისხელა სეტყვა. უსიტყვოდ
წამოვცოვდით და ქოხისკენ
გავიქეცით. შეუბრალებლად
გვირტყამდა სეტყვა თავ-პირში,
ვედროებში დგაფუნით ცვიოდა სე-
ტყვა და სიმწრით მოწველილი რძე
ილვრებოდა ბილიკზე. დანახევრე-
ბული ვედროები შევიტანეთ ქოხში.
სეტყვისგან დაბზარულ შიფრებს
ცხრილივით გასდიოდა წყალი...
სწრაფად მივეც-მოვკეცეთ ლოგ-
ინები და ზემოდან გადავაფარეთ
„ლეუბნები“. სველები და სიცივ-
ისაგან აკანკალებულები ქოხის მშ-
რალ კუთხეში შევიყუშეთ.

გვიხსნა ნინა ძალომ, ცეცხლი
დაგვინთოო. გავთბით და დიღილის
საქმიანობას ჩვეული ენერგიით
შევუდებით. ამოვიყვანეთ ყველი,
გავაკეთეთ „ნადუღალი“, დავა-
სუფთავეთ ჭურჭელი, დავალაგ-
ეთ ქოხი და მხარზე შედგმული
ყველით სავსე ვედროებით დავუ-
ყევით დაღმართს კოლმეურნეო-
ბის საწყობისკენ, სადაც საწყობის
გამგე – ძირი გიორგი მოთმინებით
გველოდებოდა.

ნარკოვები პსიქოს ხელის ხელის ნასულიდან

პსიქოს ხელი გასწავლები – გაიოზ (აღვ) გალაშვილი



ჩვენ გვერდით ყოველთვის იყვნენ და იქნებიან ისე-თი ადამიანები, მათზე კარგსაც რომ ამბობენ და აუგ-საც. იშვიათად თუ იქნება ისეთი, ყველაზე გულბორო-ტი ადამიანიც რომ ვერ შეჰქედავს ავად ნათქვამს.

ექიმის თაყაიშვილი და იკოთის საგანძურო

ქსნის ხეობის ხშირი სტუმარი გახდათ ცნობილი ქართველი ის-ტორიკოსი, არქეოლოგი, საზოგა-დო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი (წმინდა ექვთიმე ლვისკაცი), რო-მელსაც კონსტანტინე გამსახურ-დიამ 1921-1945 წლებში საფრან-გეთში გატანილი ჩვენი ეროვნული საგანძურის დაცვისთვის საქართ-ველოს მეჭურჭლეოთუზუცესი უწო-და.

ცალკე საუბრის თემაა ექვთიმე თაყაიშვილის ურთიერთობა ახალ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ იკოთან. დიდმა მეცნიერმა ფიც-ხელაურების ოჯახში ბევრ ისეთ ისტორიულ დოკუმენტს მიაკვლია, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საქართველოს ისტორიის შესწავლაში. გავიხსენოთ თუნდაც ქართული სამართლის უნიკალუ-რი ძეგლი „გარიგება ელმწიფის კარისა“, რომელიც სწორედ იკოთ-ში უნახავს (ცრცლად იხილეთ, ფაგურიშვილი, 2007). ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფერო-ვანია, რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წეს-წყო-ბილების, ისევე კულტურული, ეკონომიკური და ნივთიერი კულ-ტურის ისტორიის შესასწავლად უაღრესი მნიშვნელობა აქვსო -

ბრძანებდა ივანე ჯავახიშვილი. მართალია ტექსტის ნახევარზე მეტი დაკარგულად ითვლება, მაგ-რამ გადარჩენილიც ფრიად ლირე-ბული წყაროა.

ექვთიმე ასევე იკოთში მი-აკვლია ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობას, სხვა 35 სიგელ-გუჯართან ერთად, რომ-ლებიც „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოე-ბის“ მუზეუმს დიდსულოვნად გა-დასცა ვახტანგ ივანეს-ძე ფიცხე-ლაურის დედამ... ესეც საქართვისა იმის საილუსტრაციოდ, თუ რა სა-განძურო ინახებოდა ქსნის ხეობის ამ უმშვენიერეს სოფელში...

ამ საგანძურის შესახებ მოგვითხოვთ ცნობილი საზოგა-დო მოღვაწე, სასულიერო პირი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი ილარიონ ჯაში: „ბევრი გუ-ჯრები მინახავს სოფელ იკოთში მცხოვრებელი აზნაურის ივანე არ-ჯევანის ძე ფიცხელაურის სახლ-ში... ამათ გუჯრებში ხშირად ნახა-ვდით გიორგი XIII-ის მონერილს ხელს და ბეჭედს. ეჭვი არ არის, რომ ამ გუჯრებში ბევრი საინტ-ერესო რამე მოიძევება“.

ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად ყურადსალებია ის ნივთიერი კულტურა, რომელიც ახალგორის მოურავების ოჯახში ინახებოდა, მათ შორის ტყავზე დაწერილი

განა შეიძლება ვინმემ ცუდად გაიხსენოს ქარჩოხისხ-ეობელი გაიოზ (აღვ) ბალაშვილი – უკეთილშობილე-სი, მართალი კაცი?.. გაიოზი ჩემი მასწავლებელი იყო ბალანის საშუალო სკოლაში, – ფიზიკას, ხაზებას და შრომას გვასწავლიდა. ხისგან კაცს გამოთლის და სულს ჩაპბერავსო, – იტყოდნენ ხოლმე. ჩემთვის იგი ქარჩოხის უახლესი ისტორიის ნაწილია, რომელზეც ხშირად უნდა ესაუბრო მომავალ თაობას... ეტალონია ქსნის ხეობელი კაცის: ამაყი, მშვიდი, ვაჟუაცური, ნამ-დვილი ინტელიგენტი.

ფოტო, რომელზეც გაიოზ მასწავლებელი მოსწავ-ლებთან ერთადაა აღბეჭდილი, 1977 წელსაა ახალ-გორში გადაღებული. ბალანის მაშინდელი რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები: იამზე კარელიძე, ვახტანგ პავლიაშვილი, ამირან მიდელაშვილი, გენრიეტა ქე-ქაძე, ციცინო მიდელაშვილი, დალი გამხიტაშვილი, მანანა(ჟუჟუნა) გაროზაშვილი კომკავშირის რიგებში მიუღიათ იმ დღეს...

დღიდ ადამიანები წარსულში არ ჩემიან, ისინი ჩვენ-თან ერთად აგრძელებენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას...

დავით ახლოური

„ვეფხისტყაოსანი“ და ლურჯ ქა-ლადზე ხელნაწერი გრამატიკა, რომლებიც ილარიონ ჯაშისთვის დედინაცვალს - იკოთელ ფიცხე-ლაურის ქალს უწუქებია. იმ დროს ჯაში თბილისის სასულიერო სას-წავლებლის მეორე კლასის მოსწავ-ლე იყო, ხელნაწერი წიგნები ერთ-ერთ მასწავლებელს გამოურთმევია და ალარ დაუბრუნებია... ილარ-იონის მონათხრობით, დიმიტრი არჯევანის ძე ფიცხელაურს, შემ-დგომში მთავარეპიკოპოს დოსითე-ოზს „დაუტოვებია ორი შესანიშნა-ვი ხატი. ერთი მათგანი, როდესაც გაყრილან ეს ოჯახი ივ. ფიცხე-ლაურის ბიძაშვილს (ქალს) შეხ-ვედრია და დუშეთის ეკლესისათ-ვის შეუნირავს, მეორე კი დღესაც იკოთის ეკლესიაში ასვენია. ეს ხატი მთლად ნაჟვავს რაფაელის მადონას და გარშემო ნაწილებია წმინდანების, თუ არ ვცდები რიც-ვით ოც-და-ოთხი. ამ უკანასკნელ ხატში ქსნის ერისთავს გიორგის, კნეინა ქეთევანა ჯამბაჟურიან ორ-ბელიანის მამას სამი სოფელი ყმი-თა და მამულით უძლევია დოსითე-ოზისათვის და მაინც არ მიუცია. ეს უთქვამს ჩემთვის ივანე ფიც-ხელაურს.“

დავით ახლოური,

ქსნის ხეობის ისტორია
2022

საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების შესრულების დღის დასახური

პირველი გვერდიდან

მნიდა კიდევ ერთხელ ვუთხრა ჩვენს საზოგადოებას, - დღეს ჩვენი ქვეყანა არ არის არც ნატოს წევრი, არც ევროპავშირის წევრი. ევროპავშირის წევრი ქვეყნები მასიმალური სიფრითი ინტენსიური გრძებიან საკუთარი უსაფრთხოებისა და ეროვნული ინტერესების დაცვას. და როდესაც ჩვენ საუბარი გვაქვს, თუ რატომ ერიდებიან ისინი ესკალაციას პირდაპირ რესერთან, მათი პასუხი არის ძალიან მარტივი, რომ რესერთან მათი პირდაპირი ესკალაცია და კონფრინტაცია გამოიჩვევს მესამე მსოფლიო ომის დაწყებას. ჩვენთვის, საქართველოსთვის, ახალი ომის დაწყება ნიშანვას მესამე მსოფლიო ომის დაწყებას. ამსოფლუტურად იდენტური ჩვენთვის, იმიტომ, რომ ქვეყანა ვერ გაუძლებს ახალ ომს. ჩვენი მთავარი ამოცანა, მათ შორის, თქვენიც პოზიციის წარმომადგენლებო, უნდა იყოს ერთიანობის შენარჩუნება და ამ დიდი გამოწვევის ერთობლებად გამკავება.“

დეპუტატების შეკითხვების შემდეგ, პრემიერ-მინისტრ-მა დასკვნით სიტყვაში აღნიშნა, რომ ხელისუფლების გეგმა არის მშვიდობიანი, სტაბილური და კეთილდღეობაზე ორი-ენტიტორული.

„ახლა რაც შეეხება სხვა საკითხებს. ძალიან მოკლედ ასევე მინდა გითხრათ კიდევ ერთხელ: გაუკვირდათ ჩვენს ექსტრემისტებს საუბარი და განცხადებები იმის თაობაზე, რომ ის გამონათქვამები, რომლებიც მათგან მომდინარეობს და რომელიც ჩვენმა საზოგადოება ძალიან მკაფიოდ მოისმინა ბოლო დღეების განმავლობაში, ლიბერალური კი არა, ფაშისტური გამონათქვამები, პირდაპირ ბულინგი მიდიონდა ჩვენი საზოგადოების უმრავლესობის წევრების, ოჯახის წევრების, შვილების წინააღმდეგ. ეს არის არა თუ ლიბერალიზმი და დემოკრატია, ეს არის ჩვეულებრივი ნეო-ფაშიზმი. ის მეთოდები, რომლითაც ეს ადამიანები ანგაბდნენ ადამიანებს, აუკატიურებდნენ, ტანჯავდნენ, კლავდნენ, თქვენ, ვისაც წაკითხული გაქვთ ლიტერატურა და მასალები, ეს არის ჩვეულებრივი ბოლშევიკური და ფაშისტური მეთოდები. იგივე, აბსოლუტურად იდენტური მეთოდებით ანგაბდნენ ჩვენს ხალხს. 300 000 ადამიანი გაასამართლეს ამ ადამიანებმა, ამ ძალის რეესიმა. ბატონი მეგრელშვილი გამოვიდა და თქვა, რომ იქნებ ავუხსნათ კიდევ ერთხელ ხალხს გასაგებად, თუ რატომ ვგულისხმობთ, რომ მათი ეს დესტაბილიზაცია გამოიწვევს ომს რუსეთთან. ეს ძალა როცა იყო ხელსუფლებაში, თავითონ უგუნური პოლიტიკით დაანგრიეს ქვეყანა. 20% ჩააბარეს. ერთ-ერთი წარმომადგენელი წელან მეკითხებოდა, რა გეგმა გვაქვს ჩვენ ამ 20%-ის დაბრუნების. ახლა მე მინდა მათ ვკითხო: თქვენ რა გეგმა გქონდათ, როცა ამ პროვოკაციებს თავიდან ვერ იცილებდით კი არა, პირიქით, უფრო მეტს თვითონ აკეთებდით. მე მინდა უფრო მეტი ვთქვა - ამ ადამიანების, სააკაშვილის პარტიამ, თვითონ სააკაშვილმა ჩააბარა 20% ჩვენი ტერიტორიების რუსეთს. კოდორი, ახალგორი, ასზე მეტი სოფელი. ვინმებ მოკითხა პასუხი ამ ადამიანებს, რომ ჩვენი ძირძველი ტერიტორიები გადასცეს ოკუპანტ ქვეყანას? დღეს როგორ ბედავენ ეს ადამიანები, რომ ჩვენ გვისამენ კითხვას: რა გეგმა აქვს თურმე მთავრობას, ამ ტერიტორიების დაბრუნების. ჩვენი გეგმა მე ახლა წარმოგიდგინეთ ძალიან მოკლედ, რამდენიმე სიტყვით. ჩვენი გეგმა არის მშვიდობიანი, სტაბილური, კეთილდღეობაზე ორიენტირებული, ეს არის გზა, რომელიც მიიყვანს ჩვენს ქვეყანას გაერთიანებისკენ და არა თქვენი გზა, რომელიც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის დანგრევას და ნიშანავს ჩვენი ქვეყნის „უკანასკანის“, - განაცხადა პრემიერმა.

ԱԵՋՑՐԻՆԵ ԹԵՇԵՄՈՎԱՀՆՈՒՑԱՑՈ

ახალგორის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა. გასაბჭოების შემდეგ, 1922-1990 წლებში ლენინგორის რაიონის სახით შედიოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. 1991 წლიდან ენოდა ახალგორის რაიონი, ხოლო 2006 წლიდან – ახალგორის მუნიციპალიტეტი. 1995-2008 წლებში შედიოდა მცხეთა-მთიანეთის მხარეში.

საქართველოს პრეზიდენტის მ. სააკაშვილის 2005 წლის 16 დეკემბრის 2304-რს ბრძანების საფუძველზე მოხდა საქართველოს რაიონების რეორგანიზაცია, რის შედეგადაც არსებული რაიონები შეიცვალა მუნიციპალიტეტებად. სსიპ „ახალგორის მუნიციპალიტეტის“ (ს/ნ. 223238217) გადამხდელად რეგისტრაციის თარიღია 2006 წლის 11 დეკემბერი, ხოლო რეგისტრაციის თარიღი – 2006 წლის 19 დეკემბერი.

2007 წლის 8 მაისის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით (№4735) ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შეიქმნა დროობითი აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 10 მაისის №296 ბრძანებულებით „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სა-თანადო პირობების შექმნის შესახებ“ საქართველოს კანო-ნის მე-3 მუხლისა და „დროობითი აღმინისტრაციულ-ტერ-იტორიული ერთეულის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის 4735 დადგენილების შესაბამისად შეიქმნა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონო-მიური ოლქის ტერიტორიაზე დროობითი აღმინისტრაცი-ულ-ტერიტორიული ერთეულის აღმინისტრაცია.

ამ დროიდან ახალგორის მუნიციპალიტეტი, რომელიც მანამდე მცხეთა-მთიანეთის მხარის ადმინისტრაციულ საზღვრებში იყო, დროებით ადმინისტრაციულ ერთობლივ მდგრადი გახდა.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ოკუპირებულია რუსეთის მიერ. დღ-ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა მუნიციპალიტეტს დაუბრუნა საპროცესო სახელმწოდება ლენინგრადი.

ოკუპირებული სოფლები:

- აბრევი · არმაზი · ახალდაბა · ახალსოფელი · ახმაჯი
- ბალანი · ბაზუანი · ბეჭაანთკარი · ბოსელთა · გავაზი
- გარუბანი · გარუეთი · გდუ · გუდაწვერი · დაბაკნეთი
- დადიანეთი · დელკანი · დოგუზანი · დოროთკარი · ელიოანი · ერედა · ვაშლოვანი · ველისა · ზახორი · ზემო ბოლი · ზემო ღრუ · ზემო ყური · ზოდეხი · თინიკანი · თოხთა · იკოთი · კარა · კოდიჯვარი · კორინთა · კუცხოვეთი · ლარგვისი · მამულაანი · მანჭიკანი · მარტიანი
- მაჭარაანი · მახიარეთი · მიდელაანი · მონასტერი · მონასტერი · მორბედაანი · მოსაბრუნი · მსხლები · მუჯუხი
- მშველიეთი · ნაგომევი · ნავიხევი · ნახიდი · ორქოსანი
- ოხირი · პავლიანი · პაპიაანი · საპარკლეთი · სალბიერი
- საძეგური პირველი · უკანამხარი · უკანაუბანი · ქარელთკარი · ქედიგორა · ქენქაანი · ქვემო ალევი · ქვემო ბოლი · ქვემო ღრუ · ქურთა · ღდულეთი · ყანჩავეთი · ყველაბა · ყოჩიანი · შიუკაანი · შუა ალევი · ჩიგოიანი
- ჩიტიანი · ჩკუნეთი · ჩორჩანი · ციხისოფელი · ცხავათი
- ცხილონი · ძანგათი · ძეგლევი · ძუკათა · წინაგარი · წირი · წირქოლი · წიფთაური · წოლდა · წუბენი · ჭანდარი · ჭორჭოხი · ხარბალი · ხარკელანი · ხრამისწყარო
- ჯვარისუბანი

მეგრებრები არ თვლიან ქრომსომაბს



ახალგონის საბაზშვი
გაბა-გაღის აღსაზრდელები

ახალგონის და წილკნის ბაგა-ბალების აღსაზრ-
დელებმა თბილ და საინტერესო ვითარებაში აღნიშნეს
დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე – მეგობრები
არ ითვლიან ქრომსომებს...

